

ხედვა მდინარე აკამპსისის ბიზანტიური ნაპირიდან

ანტონი ბრიერი

ბირმინგემის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი,
ბიზანტინოლოგიის მიმართულება

რეზიუმე: ცნობილი ბიზანტინისტი, ბიზანტინოლოგიის ხელშეწყობის ასოციაციის პრეზიდენტის ანტონი ბრიერის წინამდებარე ინგლისური სტატია პირველად გამოქვეყნდა ამსტერდამში 1991 წელს, როგორც შესავალი ქართლის ცხოვრების ერთი ქვეთავის ინგლისური თარგმანისა. ინგლისური თარგმანი XIII საუკუნის უცნობი ქართველი ავტორის ლაშა გიორგის დროინდელი ქრონიკისა შესრულებულია საქართველოს მეგობრის, ვეფხისტყაოსნის ინგლისურად მთარგმნელის, ჩვენი ჟურნალის ერთი უცხოელი ავტორის, აწ განსვენებული ქეთრინ ვივიანის მიერ (*The Georgian Chronicle. The Period of Giorgi Lasha*. Translated by Katharine Vivian. Adolf M. Hakkert Publisher. Amsterdam 1996). ამ წიგნის შესავალში ინგლისელი ბიზანტინისტი, ანტონი ბრიერი, შუასაუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიას მიმოიხილავს უაღრესად ფართო ერუდიციით, პარალელებით ბველ ბიზანტიელ და ევროპელ ქრონისტებთან, საისტორიო მწერლობის ფარული ნიუანსების სიღრმისეული ანალიზით. სტატიაში ერთდროულად ჩანს დიდი სიმპათია ქართველი მემატიანეებისადმი და კრიტიკული ანალიზი პანეგირიკოს-ქრონისტთა მონათხრობისა. ვფიქრობთ, ამ ნარკვევის გაცნობა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის სასარგებლოცაა და აუცილებელიც. სტატიის ქართულ თარგმანზე მუშაობდა ჩვენი ჟურნალის თანარედაქტორი არიანე ჭანტურია. აქ წარმოდგენილი ქართული თარგმანი შესრულებულია ლევან გიგინეიშვილის მიერ. სტატიის სამეცნიერო აპარატი თან ერთვის ინგლისურ დედანს.

საკვანძო სიტყვები: ქეთრინ ვივიანი, ქართული ისტორიოგრაფია, ბიზანტიური ისტორიოგრაფია.

ვახტანგ მეექვსე, საქართველოს მეფე, გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წელს. მის ეპიტაფიაში, რომელიც საკუთარ თავს დაუწერა, განვლილ გზას ასე აჯამებს [1]:

„ესე მთა მოვინადირე, ვბოცე ირემნი ძველანი,
სამართლის წიგნი დავწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა,
ვეფხისტყაოსნის თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვსთქვა ცილობა,
ჩემთათა მყოფთა ჭაბუკთა უქმნია კარგი ზრდილობა,
ბოლოდ მიმიღო სოფელმან სიმდიდრე, მეფედ შვილობა“.

ვახტანგი გადამეტებულად თავმდაბალი იყო. მის თანამედროვე ევროპელ მეფეებს არანაკლებ ზრდილი და მანერული რაინდები ეყოლებოდათ, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მაგალითად, ინგლისის მეფე გეორგ მეორეს (George II) ანგლოსაქსური ქრონიკა შეედგინა, ან საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ს გაერედაქტირებინა Froissart, მაგრამ უზომოდ სიმპათიურ და დასცედიანებულ ვახტანგ VI-ს ჩვენ მისი სამეფოს მატთანეს რედაქტირებას (რაზეც ის პრეტენზიას არც კი აცხადებს) უნდა ვუმადლოდეთ. როგორც მეცნიერი მეფე, იგი არის ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის და, კავკასიასთან უფრო დაახლოებული მაგალითისთვის, მისივე წინაპარი დავით IV-ის ტრადიციის გამგრძელებელი. იმ დავითისა, რომელიც წიგნის კითხვას ნადირობისა და საბრძოლო კამპანიებში ამხედრებულიც ვერ ელეოდა და ერთ წელიწადში *სამოციქულოს* ოცდაოთხჯერ წაკითხვა მოასწრო.

საქართველოს გულთან მიახლოებაში ქეთრინ ვივიანი თავის წინამორბედ მარჯორი უორდროპის ტრადიციას აგრძელებს. ამისათვის, ისევე როგორც ვახტანგ VI-მ, ორივე ინგლისელი ქალი, ბუნებრივია, შეეჭიდა რუსთველის ეპიკურ პოემას - *ვეფხისტყაოსანს* [2]. ქეთრინ ვივიანი ვახტანგს უფრო შორსაც გაჰყვა და ინგლისურად გადმოიღო საქართველოს სამეფო *ანალების* შესანიშნავი აღწერა. ინგლისელ მკითხველებში ეს ტექსტები მძაფრ ინტერესს გამოიწვევს: ხან უხელოვნო, ხანაც მაღალხელოვნური გადმოცემები შუასაუკუნეების საზოგადოებისა, რომელიც თავისი რაინდებით და ზედმეტად ძალმოსილი თავადებით, ეპისკოპოს-კანცლერებითა და წარმატებებს გამოდევნებული

მეფეებით ასე ძალზე ნაცნობი უნდა იყოს მათთვის. მაგრამ გვიან ანგლოსაქსურ ქრონიკებში ან თავად ფრუასარში (Froissart) აღწერილი საზოგადოებები სრულიად დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ. ასე რომ, რამე რეალური კავშირების ძიება იგივე იქნება, რაც დასავლეთის რომანული არქიტექტურის გავლენის აღმოჩენა სომხურ ანისში (Armenian Ani). თუმცა, ამ ორივე მდებლობას ჰქონდა ადგილი. დროებითი კოლონიალური გადანერგვა ფეოდალიზმის დასავლური ფორმებისა ლევანტის (Levant) ჯვაროსნულ სახელმწიფოებშიც ასევე უნდა უგულებელვყოთ, რადგან მათ არ ჰქონიათ რამე გავლენა კავკასიაზე. მართალია, ამან არ უნდა შეუშალოს ხელი დასავლელ მკითხველს, გააკეთოს შედარებები საქართველოს მეფე დავით IV-სა და ნორმანულ ინგლისთან, თუმცა მას უნდა ახსოვდეს, რომ როდესაც ასეთ შედარებებს აკეთებს, მოუწევს შეისწავლოს ბიზანტიური იმპერიის ისტორიის საფუძვლები, რომელიც მუდმივად ერეოდა კავკასიის ქვეყნების საქმეებში, და რომელსაც როგორც სომეხი, ისე ქართველი მემკთიანეები უხალისოდ აღიარებდნენ მისაბამ მაგალითად. ოღონდაც, ბიზანტიის იმპერია მაინც სულ სხვა პრინციპებზე იყო აგებული და, მეტი თავსატეხი რომ გაგვიჩინოს, თვითონაც თავისი უნიკალური ტიპის ფეოდალიზმს ავითარებდა.

როგორც ბიზანტიელების და ბიზანტინისტების უმეტესობა, მე არ შევუდგები მტკიცებას, რომ გარკვეული ვარ იმაში, თუ რა ხდებოდა მოთქრიალე აკამპსისის (ჰოროხი) შორეული ნაპირის მიღმა. ეს მდინარე, რომელიც მოედინება ანატოლიიდან შავ ზღვაში, წარმოადგენს ისტორიულ გამყოფს და მას შემდეგ რაც მრავალი იმპერიის მომსწრე გახდა თავის ორივე ნაპირზე, დღესდღეისობით თავისი ბოლო მონაკვეთით წარმოადგენს საზღვარს თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ზოგადად, საზღვრები წყნარი ადგილებია. ჩანგრეული ხიდი არაქსზე (Aras-Arpa Chay) ანისთან, რომელიც ასევე დებს იგივე საზღვარს თურქეთსა და სსრკ-ს შორის, უფრო მკაფიოა ვიდრე აკამპსისის შესართავი ზღვასთან. აქ, და აუცილებლად სხვადასხვა ვითარებაში, კაცმა ან დასავლეთისკენ უნდა გაიხედოს ქართული ბათუმიდან წვიმის მძიმე ფარდების

მიღმა, ან აღმოსავლეთისკენ სარფის თურქული ჩაიხანიდან, საიდანაც ბევრს ვერაფერს დაინახავ; თუმცა კი ამბობენ, რომ შესართავის სიახლოვეს, სადაც აკამპსისი რეალურად კვეთს საზღვარს, საპირისპირო მხარეს დარჩენილი სოფლები ღამდამოებით ერთმანეთს გადასძახიან და უმღერიან მდინარის გაღმა-გამოდმიდან [3]. ეს სოფლები VI საუკუნიდან არიან გაყოფილები, რადგან პონტოს სანაპიროს ქართველი ლაზები აკამპსისის დასავლეთით ხან რომის, ხან ბიზანტიის და ხანაც ოსმალეთის იმპერიის ქვეშ იყვნენ; ამ იმპერიებში ცხოვრებას ისინი საკმაოდ კარგად მოერგნენ, ისე რომ არც იდენტობა დაუკარგავთ, და ამიტომაც წინამდებარე *ანალებში* ისინი თითქმის არ ჩანან. სათავიდან აკამპსისი სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ მიიკლაკნება უსწორმასწორო ხეობების გავლით იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ახლა თურქეთი ჰქვია, გადალახავს ისპირს, რათა მიუახლოვდეს ბაიბურთს, საიდანაც წარმოდგებოდნენ და სადაც ჰქონდათ ციხესიმაგრე სომეხ ბაგრატიდებს, რომლებიც ქართველებთან იყოფდნენ მეფეებს; ეს ციხესიმაგრე საბოლოოდ რუსებმა დაანგრიეს 1828 წ., ეს არის ტაო და კლარჯეთი, სადაც ქართველებს და სომეხებს ერთად ცხოვრება უწევდათ, რაც არქიტექტურულად დადასტურებულია იმხანში, და სადაც შვემეთის ტყეები და ზაფხულის საძოვრები მათ საზიარო ეკონომიკურ სივრცეს შეადგენდა. დადებითი და იმედისმომცემი ფაქტია, რომ ახალგაზრდა თურქი მეცნიერები იწყებენ ინტერესის გამოჩენას ქართული ძეგლების მიმართ, თუნდაც მხოლოდ მათ მიმართ, რომლებსაც ეს *ანალები* ასახელებენ და რომ სოფლის თავებს გათვითცნობიერებული აქვთ მათი ტურისტული პოტენციალი ამ დღესდღეისობით წყნარ და კვლავინდებურად მშვენიერ ალპურ მიწაზე [4]. მაგრამ აკამპსისი კვლავ ძველებურად მატყუარა მდინარეა და ძნელია ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად ფონის ნახვა. ქართველების მხრიდან ამის გაბედული და შთამბეჭდავი მცდელობა ეკუთვნის ელგუჯა ხინთიბიძეს, რომელიც არკვევს საქართველოსა და ბიზანტიას შორის რეალურ სამეცნიერო კავშირებს, ზოგს მყარს და საფუძვლიანს [5], ზოგსაც მოულოდნელსა და ექსტრავაგანტულს და მარიამ

ლორთქიფანიძეს, რომელმაც მაღალოსტატურად გამოიძია ამ ანალების ხასიათი და მათი ავტორობის საკითხი შესავალ წერილში, რომელიც მოყვება ამ წიგნის წინასიტყვაობას. მათგან განსხვავებით, მე ცალთვალა ბიზანტინისტი ვარ, რადგან ქართულს არ ვფლობ. აქამდე მიწევდა თვალების მოჭუტვით წაკითხვა ამ ანალების ბროსესეული ვერსიისა [6], ქეთრინ ვივიანის თარგმანმა კი მათზე ახალი და უფრო ხალასი ხედვა მოგვცა. ასე რომ, ბოდიშს ვიხდი ქართველი კოლეგების წინაშე ჩემი მრუდე ხედვისთვის და თავის მართლებად ისლა მაქვს, რომ მე აკამპსისის გადაცურვა მიწევს ყოველთვის, როდესაც ამ მძლავრ ნაკადს ვხედავ. მაგრამ მე მხოლოდ მისი ბიზანტიური ნაპირიდან ვწერ.

მაინც რა მოგვცა ქეთრინ ვივიანის თარგმანმა? ანალები არასწორი სიტყვაა. ეს არ არის ურთიერთმონაცვლე ისტორიული გმირებისა და მოვლენების მწყობრი რიგი (რაც ნამდილ ანალებს ახასიათებს). ჩვენი ქართველები კალენდარული სიზუსტეებით არ არიან დაინტერესებულნი. ტიპურია, რომ იმ დროს, როცა წერენ დედოფალი თამარის გარდაცვალების დღეს, არც კი ახსენებენ წელიწადს. ზუსტი რიცხვები მნიშვნელოვანი იყო შუა საუკუნეების მონასტრებისა და სამეფო კარის კანცელარიებისთვის. მაგალითისთვის, ქართული ტექსტების ავტორების უახლოესი ბერძნული ეკვივალენტი არის მიქაელ პანარეტოსი, კარის მემატთანე მეზობელ ტრაბზონში, რომელიც ათარილებს 132 მოვლენას, ჩვეულებრივ, სამყაროს შექმნიდან წლით, ინდიქციით, თვით, კვირის დღით და ხშირად საათითაც კი [7]. ამას ქართულ ისტორიულ ნაწერებთან პარალელი არ აქვს. ასეთი პარალელისთვის არ გამოგვადგება არც ევსევი კესარიელის ჩარჩო, რომელიც გაითვალისწინებდა უნივერსალურ ქრისტიანულ განგებას საქართველოს მოვლენებში, თუმცა ამ ტექსტებსაც აქვს სომხური მატთანეებისთვის დამახასიათებელი ბიბლიური ხერხემალი, რომელიც ნაკლებად გამოშვერილია მათ თანამედროვე ბიზანტიურ ისტორიებში.

თუ ეს არ არის ანალები, მაშინ რა არის? ალბათ არცთუ სამართლიანად, მე მათ შევადარებდი ორ მათავე

თანამედროვე ბიზანტიელ მწერალს - ანა კომნენეს (რომელმაც ჩამოაყალიბა პრინციპი იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია და თავადვე თავის ნაშრომში, მადლობა ღმერთს, არ დაიცვა ეს პრინციპი) და ნიკიტა ხონიატს (რომელიც ერთგვარი გულდამჯდარი პესიმისტი იყო და როცა იყენებდა ლიტერატურულ კონვენციებს, მხოლოდ იმისათვის, რომ ნამდვილი მიზნისთვის მიეღწია, ანუ აღეწერა და კომენტარები გაეკეთებინა იმ დროზე, რომელშიც ცხოვრობდა) [8]. ყველაზე ნაღდი პასუხი იქნება, რომ ქართველები თავიანთ თავს იგივე, კატეგორიაში აქცევდნენ: ისინი იყვნენ ისტორიკოსები.

დღესდღეისობით ძნელია, გაიაზრო ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებული იყო მცდელობასთან, ყოფილიყო ისტორიკოსი (ყოველთვის არამთავარი, სანახევარმეტატო პროფესია მაშინდელი ადამიანებისთვის) XII ან XIII საუკუნეში. თავად ბიზანტიაშიც იყო დაბრკოლებები და ბარიერები დაკავშირებულები იმ აუცილებლობასთან, რომ ლიტერატურული ენა მიესადაგებინათ უძველესი ჟანრისთვის, ოღონდაც უკვე ქრისტიანულ სამოსელში, და მხოლოდ ამის მერე ეფიქრათ, თუ როგორ გაეტარებინათ მეორეხარისხოვანი, ანუ თავად ისტორიკოსისთვის პიროვნულად მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია მთელი ამ კლიშეების იქით. ანა კომნენემ და ნიკიტა ხონიატმა გადალახეს და თავისთვის გამოიყენეს ეს ბარიერები. ვისთვისაც არ უნდა ეწერათ მათ, მათი გადმოცემები ღრმად პიროვნულია.

ჩვენი ქართველი ისტორიკოსები კიდევ უფრო დიდი წნეხის ქვეშ მუშაობდნენ, რადგან, როგორც ჩანს, ისინი წერდნენ კარის ისტორიას მეფეების დაკვეთით, ან იმ სამეფო დიდგვაროვნებისთვის, რომლებიც შესაძლოა ქმნიდნენ ისტორიას, მაგრამ არ შეეძლოთ მისი წაკითხვა, ამავე დროს კი სურდათ, რომ მათი საქმეები სამარადისოდ დარჩენილიყო წერის მაგიის საშუალებით. ჩვენი ისტორიკოსების სტილი მკაცრად შეზღუდულია ენობრივად და იმ ალუზიებით, რომლებსაც მიმართავენ. ეს სავსებით გასაგებია იმ ვიწრო სამყაროში ინტელექტუალი ბერებისა და მაღალი სამოხელეო პირებისა, რომლებიც ბიზანტიაში ერთგვარ სნობურად თავმოძვრნე წრეს ქმნიდნენ და ერთმანეთს პედანტურ-

ფორმალური ბერძნულით წერდნენ წერილებს. მათ არც ის თავისუფლება აქვთ, რაც ჰქონდა მოგვიანებით ანონიმ ავტორს „მორეას ქრონიკისა“, დაწერილს ფრანკი სამეფო რაინდებისთვის, რომელთაც სურდათ გაეგოთ თავიანთი მამების საქმეებზე ბერძნულად, ფრანგულად ან კატალანურად: ეს ქრონიკა დაწერილია ძირითადად უშუალო, სალაპარაკო ენით, ყოველგვარი აბდაუბდის გარეშე არისტოტელეს შესახებ. ჩვენს ქართველ ისტორიკოსებს ორი ერთმანეთთან ძნელადშეთავსებადი მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინათ, ამიტომაც გავბედავ და ვიტყვი, რომ მათი აქცენტები ზოგჯერ გაურკვეველია. ისტორია, განმარტებისამებრ, საერო საქმიანობაა, მაგრამ ისინი, ანუ ჩვენი ქართველი ისტორიკოსების პატრონები, გვარიანი სნობები იყვნენ და სურდათ დიდებულებით შეემოსათ ეს ნაწერები გარეგნული კონვენციებითა და ლიტერატურული სტილით, თანაც ისე, რომ ისინი მთლად მიუწვდომელიც არ გაეხადათ. ყველაზე მარტივი დონე არის ოფიციალური ისტორია, რაც უბრალოდ ნიშნავს იკითხო სტრიქონებს შორის, ან ის კითხვა მაინც დასვა - თუ რატომ არ არის სტრიქონები საერთოდ. მაგალითად, რატომ არის დემეტრე I-ის (1125-56 წწ.) ოფიციალურ ბიოგრაფიაში ნაკლები სტრიქონი, ვიდრე იმ მცირე წლების აღწერაში, როდესაც ის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი იყო? იმიტომ ხომ არა, რომ მან ცხოვრება დაასრულა მონასტერში, რათა შეერთებოდა მათ, ვინც წერს და არა ქმნის ისტორიას?

იმისდა მიუხედავად, რომ ანა კომნენე და ნიკიტა ხონიატი სრულყოფილად ფლობდნენ ისტორიულ ნაშრომებში თავიანთი კლასიკური განათლების გამოყენების ხელოვნებას, მათ ნაწერებში იგი მაინც ზოგჯერ ზედმეტი დოზით არის წარმოჩენილი. მაგრამ ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში, ჩანს იმის გამო, რომ მათ მსგავსი განათლების მიღება გაცილებით ძვირი დაუჯდათ, ის რაღაც უხეიროდ არის გამოშვერილი, როგორც ძვლები ნაშიშშილარი კაცის სხეულიდან. ჩონჩხი არის იუდეურ-ქრისტიანული ისტორიოგრაფიული კონვენცია, ხორცი კი არის კავკასიური. ზოგჯერ ხორცი ვერ უთავსდება ჩონჩხს ისე ბუნებრივად,

როგორც ეს არის ბიზანტიურ ისტორიულ ნაშრომებში. ქეთრინ ვივიანის თარგმანი სწორედ ამ კავკასიური მასალის გამოა ასეთი კარგი საკითხავი. ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის შოთა რუსთველი თამარის ზეობის ეპოქას, ამ ისტორიული ნაშრომების ეთოსი იგივეა, რაც *ვეფხისტყაოსანში*.

მიუხედავად ამისა, ჩვენს მწერლებს დაუჟინიათ, რომ ისინი არიან ძველი ისტორიული ტრადიციის ეპიგონები და ასეც უნდა იყვნენ შეფასებულნი. აი აქ გამოსჭვივის გაუგებრობა: რამდენად იცოდნენ ან ესმოდათ მათ თამარის, ანუ ისტორიული ნაშრომის წერის, კლასიკური წესები? ანა კომნენე და ნიკიტა ხონიატი ძალიან ფრთხილობდნენ დაეფარათ ის მომენტები, როცა ამ წესების დარღვევა უხდებოდათ. მაგრამ დავით IV-ის ისტორიკოსს სურს, თავი მოაწონოს თავის პატრონებს. ის ძველების მხრებზე დგას. ეს უკანასკნელნი კი არ არიან ჰეროდოტე, თუკიდიდე ან პოლიბიოსი, არამედ იდიოსინკრეტული ტრიო: ჰომეროსი - ტროას ომზე, არისტობულოსი - ალექსანდრეზე და იოსებ ფლაბიოსი - ებრაელების ავბედითობაზე. ანა კომნენე, და მის შემდგომ ყველა, ჰომეროსს იცნობს უფრო პოეტად, ვიდრე ისტორიკოსად. არისტობულოსი, ალექსანდრეს თანმხლები ინჟინერი, ცნობილი იყო სტრაბონისა და არიანისთვის, მაგრამ მისი ნაშრომები დაკარგული იყო და ვერც ანა და ვერც ნიკიტა ვერ დაიჩემებდნენ მათ ცოდნას. აი, აქ ჩნდება კითხვა, ხომ არ აცურებს ჩვენი ქართველი ისტორიკოსი მკითხველ აუდიტორიას, რომელსაც მისი ერუდიციით სათანადო აღტაცების გამოწვევის გარდა სხვა არა შეუძლია რა. თუმცა, ალექსანდრეს მომდევნო ხსენებისას, ქართველი ისტორიკოსი შეიძლება მიანიშნებს არისტობულოსის რაღაც წყაროზე, რომელიც ჩვენ აღარ ვიცით, ხოლო იოსებ ფლაბიოსი (ასევე უგულებელყოფილი ბიზანტიელი თანამედროვეებისაგან) მოიპოვებოდა XI საუკუნის ბიზანტიელი მწიგნობრის [მიქაელ პსელოსის] მოწაფის, [იოანე პეტრიწის] ქართულ თარგმანში [9].

მიუხედავად პლატონური იდეალების თავიანთი გაწეილი ინტერპრეტაციებისა, მსჯელობებისა გრძნობის ხუთ ორგანოზე და სამყაროს შეიდგენად დაყოფაზე, ეს

ქართველები გაცილებით მეტ კლასიკურ მასალას ფლობენ, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. აშკარაა, რომ ჩონჩხი მათი ისტორიოგრაფიული ალუზიებისა არ წარმოადგენს მარტოდენ უხეიროდ შერჩეულ ტოპოსებს. ის, რომ ეს შესაძენვე გავლენას არ ახდენს მათი თხრობის ან შეხედულების არტიკულირებაზე, შვებისმომგვრელია. მე განგებ მზრუნველი ინტონაციით ვწერ აკამპსისის ჩემი, ბიზანტიური ნაპირიდან, სადაც XII საუკუნის ბიზანტიელები, როგორებიც არიან ანა და ნიკიტა, მეტ-ნაკლებად კომფორტულად გრძნობდნენ თავს თავიანთ სამწერლო კონვენციებში. მათი პანორამული, მაგრამ მრუდე ხედვიდან კავკასია მოჩანს როგორც ბაბილონის გოდოლი მათთვის მისაღები ქალკედონური ორთოდოქსული სამყაროს მიჯნაზე. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ანა კომნენე საქართველოს და მის მოსახლე იბერიელებს თითქმის ისევე იშვიათად ახსენებს, როგორც მარსელ პრუსტი ახალ ზელანდიას [10]. მაგრამ იგივე პანორამულ-მრუდე ხედვით რომ გადმოვიხედოთ ბიზანტიაზე იმდროინდელი კავკასიიდან, მაგალითად, გელათის სამეფო მონასტერიდან, ან ჭყონდიდის კანცელარიიდან, მივიღებთ საკმაოდ განსხვავებულ სურათს, რომელშიც კონსტანტინეპოლს შეეძლო ღამის სიბნელეში სინათლის შუქი შეეტანა, მაგრამ რეალურად წარმოადგენს მხოლოდ შუქურის კიაფს ჰორიზონტის ქვევდან. კონსტანტინეპოლის დაცემა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ 1204 წელს (თუმცა ამ თარიღს ვერ ნახავთ ქართულ ანალებში) ნახსენებია უცნაურად, ჭორის და მითქმა-მოთქმის დონეზე, მაგრამ, ალბათ, ესეც ამ მოვლენის მნიშვნელობაზე მეტყველებს. კონსტანტინეპოლის დაცემის ხსენება ისეთივე უცნაურია, როგორიც შეხედულება, რომელიც ცირკულირებდა თურქეთის საქართველოში 1960-იან წლებში იმის შესახებ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს სამი საბრძოლო მეგობარი, ათათურქი, ჩერჩილი და ჰიტლერი ერთად შეებრძოლნენ და ბოლომდე გაანადგურეს (მიუხედავად მისი ქართველობისა) სტალინი. ამგვარი, რეალური ისტორიისგან გადახვეული ხედვები თავისთავად საინტერესოა და ზევს გვეუბნება მათზე, ვინც მათ ატარებს. მაგრამ რაღაა ისტორია?

ქეთრინ ვივიანმა აარჩია XII საუკუნის სამეფო ისტორიკოსების ჯგუფი. მათ ემატებიან სხვებიც, რომლებიც საუბრობენ მანამდელ და მერმინდელ მოვლენებზეც ისე, რომ მთელი ისტორია მოიცავს 1089-დან 1222 წლამდე პერიოდს. ანატოლიურ ტერმინებში, ეს მოვლენები იწელება მანციკერტის (მალაცგერტის) ბრძოლიდან 1071 წ. (რომლის შემდეგაც წარმოიშვა თურქ-სელჯუკების რუმის სახელმწიფო, რომელმაც ბიზანტიური ანატოლიის დიდი ნაწილი ჩაანაცვლა) ყოზე დაღის (Kose Dagh) ბრძოლამდე 1243 წ. (როდესაც სელჯუკები დამარცხდნენ მონღოლებთან). ქართულ ისტორიებში არც ერთი ეს ნიშანსვეტური მოვლენა არ არის პირდაპირ მოხსენებული. კონსტანტინეპოლში უსაფრთხოდ მყოფი მიქაელ პსელოსიც დიდ ყურადღებას არ უთმობს მანციკერტს, არც მიქაელ პანარეტოსი, ტრაპიზონის სამეფო კარის მემუარების წერისას, ახსენებს სადმე ყოზე დაღს, რომელიც მისგან 125 კილომეტრზე ნაკლები მანძილით იყო დაცილებული. ისინი მართლები არიან, და ისიც მართალია, რომ ზოგჯერ ჩასაფრებული ქართველების საკმაოდ მცირემასშტაბიანი შეტაკებები თურქმენულ ქარავნებთან მთავარ ადგილზე არის გამოყვანილი ამ ქართულ ისტორიებში.

უფრო ფართო ხედი კი აჩვენებს, რომ 1089 და 1222 წლებს შორის, და მიუხედავად თურქებისა და თურქმენებისა, კავკასიის სამხრეთ მდებარე მიწები გაცილებით უფრო დიდი კონფლიქტების მხოლოდ განაპირა მიჯნას წარმოადგენდნენ. ეს მათ აძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას, ხოლო ქართველი მეფეებისთვის მათი ზეობის ყველაზე წარმატებულ პერიოდს განაპირობებდა. სომხებს მსგავსი ამოსუნთქვის საშუალება ჰქონდათ (მეტ-ნაკლები სიზუსტით) 885-დან 1018 წლამდე, როდესაც იმპერია და ხალიფატი მანამდე ებრძოდნენ ერთმანეთს, სანამ ეს ბრძოლები, როგორც იტყვიან, ჩიხში არ შევიდა (ან, უფრო სწორედ, ორთავე იმპერიის წარმომადგენლები მივიდნენ გარკვეულ შეთანხმებამდე). მაგრამ სანამ ისინი მიმდინარეობდნენ, იმპერიებს შორის მოქცეული ხალხი წნეხისგან შედარებით თავისუფალი იყო. როგორ გამოიყენეს სომხებმა თავისი ეს სიტუაცია?

დინასტიურმა შეჯიბრმა განაპირობა პატრონაჟი და მხარდაჭერა ძალზე ინოვაციური არქიტექტურისა, რომლის მოწმენიც ჩვენ ვართ ახტამარში, ყარსში, ანისში და ტურისტებისთვის სხვა ასე მიმზიდველ ადგილებში. მაგრამ ამ პერიოდში ისინი საკუთარი თავის მარცხის მიზეზად იქნენ. სომეხი მეფეთ-მეფეები, არწრუნები თუ ზაგრატიდები, ამ „მეფეთ-მეფეობაზე“ მეტს ვერაფერს მიაღწევდნენ იმ საზოგადოებაში, სადაც ის, თუ ვინ არის შენი ზაბუის დიდი ზაბუა, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის, თუ რა თანამდებობა გიბოძა მეფემ. მეფეები კინკლაობდნენ, ცენტრალიზებული მონარქია კი არ წარმოიშვა. როდესაც ქართველების დრო დადგა, როგორც მისი ისტორიკოსი ამას ნათლად აჩვენებს, დავით IV-მ, რომელიც 1089 წლიდან მხოლოდ მეფეთ-მეფე იყო, შეძლო, შეექმნა სახელმწიფო, რომელმაც თავის მეფეებზე მეტხანს იარსება.

დავითი, მართლაც „აღმაშენებელია“ და არა მხოლოდ „აღმადგინებელი“. იგია გმირი მეფე გმირებს შორის და მისი მიღწევების ელემენტები თავიდანვე იქნა დაფუძნებული: ცენტრალიზებისკენ მისწრაფებული და ექსპანსიური მონარქია, რომელიც იყენებდა თავის ეკლესიას ფეოდალური სამთავროების წინააღმდეგ. დავითმა წარმატებას მიაღწია იმ სიტუაციაში, რომელშიც სომეხმა მეფეთ-მეფეებმა საბოლოოდ მარცხი განიცადეს. დავითი ექცა რისხვად თურქმენებს, რომლებმაც დახმარებისთვის სელჯუკებს მიმართეს; მან დაიპყრო ანისი და თბილისი. სტრიქონებს შორის იკითხება მისი სისასტიკის შესახებაც. მაგრამ მონარქიის კონვენციური ატრიბუტიკა სახეზეა. სომხური და ბიზანტიური მონარქიების მოდელები არსებითად ძველი ალთქმისეული იყო, რასაც ჩვენი ქართველები თავის შტრიხებს უმატებენ. ეს მოდელებია, ცხადია, მეფე დავით მეფსალმუნე, სოლომონ კანონმდებელი, და უფრო იშვიათად, ეზეკიელი; ისევე, როგორც ბიზანტიის „მაკედონური“ დინასტიის შემთხვევაში, ალექსანდრე დიდის დამოწმებაც ხდება. თავის ეკლესიასთან მიმართებაში, დავით IV და თამარი არიან მეორე კონსტანტინეები; უფრო უცნაურია, რომ წმინდანებს შორის დავითს უდარებენ ანტონ დიდს, იგი იწოდება მეორე ბასილადაც, ხოლო თამარი კი ოქროპირად

(იოანე ოქროპირის შეხედულებები ქალებზე, რომლებიც გამოთქვა მანამ, სანამ თავისი გადასახლების გზაზე გარდაიცვლებოდა, ჩანს არცთუ კარგად იყო ცნობილი საქართველოში). მაგრამ ყველაზე საკვირველი ისაა, რომ დავითი ხდება გოლიათი. დედოფლებსაც, როგორც არაფერი, ისე უსადაგებენ საკმაოდ უცნაურ ეპითეტებსა და შედარებებს: გიორგი მესამის ცოლი, მაგალითად, არის „ღვთის ლომისებრი მთა“. თამარის შემკობა თითქოს ყველაზე პროზაულმატური უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ისტორიკოსისთვის სულაც არ არის ძნელი მოუძებნოს მას შედარებების უხვი ამალგამა: თამარია დავითი, სოლომონი, ალექსანდრე, კონსტანტინე (არა ელენე), მეგობარი ობლებისა, ქვრივებისა და ლომის ბოკვრებისა, წმინდა ადგილების ღვთისმოსავი მომხილველი, რომელიც ფეხშიშველა მიდის მეტეხში. იგი აპოლონიც კი არის, თავისი საშუალო პოეტური ნიჭის წყალობით. მაგრამ იგი არა მარტო პატივსაცემი 'კაცია': იგი არის აფროდიტეც, რომლის სილამაზე კაშკაშებს მისი კორონაციის დროს, როცა ის თექვსმეტი წლის იყო. ბასილ ეზოსმოდღვრის გადმოცემით შეიძლება გაიგო, თუ საიდან წარმოდგებიან ის ლეგენდები, რომლებიც ღრმად ჩაიბეჭდენ მახსოვრობაში, იქამდე, რომ კლდეზე აშენებული ლამის ყველა ციხესიმაგრე მის სახელთან დაკავშირდა, და მაინც ბასილთანაც შეიძლება მთელი ამ შესხმა-შექების სტრიქონებს შორის სხვა რამის წაკითხვა. აქ არ არის უშუალო წუხილი, იმ ეპოქაში სამეფო თანამდებობაზე მისსქესთან დაკავშირებული უუნარობების გამო;

მაგალითად, მას არ შეუძლია ცხენზე ამხედრებულმა იოზოს, თუმცა ყარსი (კარი) მოითხოვს, რომ პირადად მას დაწებდეს; ის ექცევა თავისი მეუღლეების კონტროლის ქვეშ, განსაკუთრებით პირველის, გიორგი ზოგოლუბსკის, ვისი თვით სახელისა და გარყვნილებების თქმაც კი უძნელდება ბასილს, რომელიც ოსტატურად ჩქმალავს თამარის უკანასკნელ, ზიგამიურ შეხვედრას „რუსთან“, ვისი რეალური დანაშაულიც იყო ის, რომ აჯანყებად აღძრა დიდებულები და ერისთავები. ის, რომ რუსმა ზოგოლუბსკიმ კინაღამ მიაღწია თავისას, მეტყველებს იმაზე, რომ დავით IV-ის აშენებული

სამეფო მხოლოდ იმდენად იყო ძლიერი, რომ დედოფლის მეფობისთვის გაეძლო, მაგრამ მან გაძლო.

დავითმა და მისმა მემკვიდრეებმა თურქმენებისგან უსაფრთხო სამეგრელოში ჭყონდიდის საყდრის ერთმანეთის მონაცვლე ეპისკოპოსები ქვეყნის ვეზირ-კანცლერებად აქციეს. დააკვირდით მათ ამ ისტორიებში: სამეფო მოხელეები, რომლებიც არ იყვნენ საკუთარი ეკლესიის მეთაურები; ძნელია სადმე ნახო მათი ანალოგი: სირიული იაკობიტური წოდება 'მაფრიანი' მხოლოდ შორეული მსგავსებაა. ამის უკან, შეიძლება, იმალებოდა საშიშროება, რომ თავად საქართველოს ეკლესიის კათალიკოსი გამხდარიყო თომას ბეკეტი. იქნებ ერთი მათგანი გახდა კიდეც. მართლაც, რა იმალება თამარის მეფედ მაკურთხეველი კათალიკოსი მიქაელ IV მარიანიძის (1178-86) სიკვდილის შესახებ მოკლე ცნობის მიღმა, რომ „იგი არავინ დაიტირა, არც დიდმა არც მცირემ, რადგან ყველას ეზიზღებოდა იგი“.

დავითის ცენტრალიზებული ადმინისტრაცია (თუ მას შეიძლება ასე ეწოდოს, რადგან ქართველ მეფეებს, ისევე როგორც ადრეულ ნორმანდიელ მეფეებს, არ ჰქონდათ ფიქსირებული დედაქალაქი და მათი სამდივნო განთავსებული იყო ყუთებში, რომლებიც ურმით დაჰქონდათ მონარქის კვალდაკვალ სასახლიდან მონასტრამდე) თანდათანობით ვითარდებოდა ამ წლებში. თამარის ისტორიკოსი ბასილი საგანგებოდ ასახელებს მის მიერ საათაბაგოს დაწესებას უმაღლეს სამოხელეო თანამდებობებს შორის. მართლაც, ადმინისტრაცია უნდა გაზრდილიყო სხვა დიდი ფეოდალური და კლანური ლიდერების მეტოქეობის პირობებში, როდესაც თავად მონარქიამ შეძლო თავი გამოეჩინა როგორც თვისებრივად უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ უძლიერესს ამ კლანებს შორის სწორედ იმიტომ, რომ თავისი მოხელეების მეშვეობით მას შეეძლო გამოეყენებინა სხვათა რესურსები, რათა დაეცვა ყველა ერთად თურქმენებისაგან და სხვა საშიშროებებისაგან. ფაქტია, ქართველი მონარქები წარმატებას აღწევდნენ იმიტომ, რომ აფართოვებდნენ საკუთარ სახელმწიფოს იმ რეგიონებში, რომლებზეც მათ საკუთარ დიდებულებს არ ჰქონდათ

პირვანდელი უფლებები და ამიტომ მათი მართვა უშუალოდ ცენტრიდან იყო შესაძლებელი. მაგრამ, არსებობდა ამ ახლადმოპოვებული რეგიონების მონელებასთან და გარე ძალების შემოჭრებთან დაკავშირებული სირთულეები - განსაკუთრებით ეს ეხება თავად თბილისის ჩრდილოეთს, აღმოსავლეთში მდინარე აკამპსისის გაყოლებას და სამხრეთში ყარსს, ანისს და ლორეს დაბლობს. ბასილი აღნიშნავს ამ რეგიონში უჯ-ბეგების, ანუ მოსაზღვრე მთავრების თურქული წარმოშობის ფენომენს. ეს ტერმინი კალკაა ბიზანტიური „აკრიტებისთვის“ ანუ მოთარეშეებისთვის. ჩვენი ტექსტები ასახელებს მათ ქართველ ქვეყნალებსაც - მოსაზღვრე მთავრებს, რომლებიც უპირისპირდებოდნენ (თუმცა ზოგჯერ აღერეოდნენ კიდევ) მათ [11].

გაფართოებადი XII საუკუნის ქართული სახელმწიფო, ამდენად, აუცილებლად მულტიკულტურული უნდა ყოფილიყო და მისი სომეხი მოსახლეობა მას ჰეტეროდოქსულსაც ხდიდა. ჩვენ ვიგებთ, რომ დემეტრე I-მა სცადა დაესახლებინა ტაო-კლარჯეთი ქართველებით და აქ მოხსენებული ყველა ჩვენი მონარქი იყენებდა ეკლესიასა და ჯერ კიდევ შთამბეჭდავ სამონასტრო დაწესებულებების ქსელს, რათა გამოეხატათ სპეციფიკურად ქართული კულტურული ერთობა. თამარი თავის მოვალეობად თვლიდა, გადაეკეთებინა მეჩეთები ეკლესიებად, ხოლო ომის ეგზოტიკური ნადავლი გადაეცა მონასტრებისთვის. მაგრამ ამ ქართველი მონარქებისევე ძლიერებას გამოხატავდა ისიც, რომ პატივს სცემდნენ თავიანთ ქვეშევრდომებად ქცეული მეზობლების იდენტობას და, სადაც შესაძლებელი იყო, ირეკლავდნენ ისლამისა და ბიზანტიური აღმოსავლეთის კულტურებს. როგორი განსხვავებულიც არ უნდა ყოფილიყო მათ აღმსარებლური სარწმუნოებები, ქართული სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომს ბევრი რამ ჰქონდა საერთო, რაც შესაძლოა სიმბოლიზირებული იყო ცხენბურთში (რადაც პოლოს მსგავსი თამაში), რომელსაც თამარის ისტორიკოსი ახსენებს. ამ თამაშს სხვადასხვა დასახელება ჰქონდა - სპარსული „ჩოგანი“, ბიზანტიური „ჩიკანიონი“, ფრანკული „ჩიკანე“, ქართული „თროხი“, „ცხენბურთი“ და „ისინდი“ - და ცხადია, რომ მასში

ყველა ეს ხალხი იზიარებდა მოყმეობისა და რაინდული მეტოქეობის ერთსა და იმავე ინსტინქტს და საერთო წესების ცოდნა მარტო ამ თამაშით არ შემოიფარგლებოდა.

ჩვენი ისტორიკოსების დამოკიდებულება სამეფოს არაქართველ ქვეშევრდომებთან, მეგობრებთან და მტრებთან განსაკუთრებით საინტერესოა და ზევრ რამეს ჰყენს ნათელს. კავკასიის ორმოგდაათ სხვადასხვა ხალხსა და ენას შორის, რომლებიც ჯერ კიდევ განირჩეოდნენ ამ საუკუნეში, თურქულ-ალტაურად მოლაპარაკე ყივჩაღები ქვეყნის ჩრდილოეთში უფრო 'მსხვილად' მოჩანან ამ ისტორიებში, ვიდრე გაცილებით ადრე დამკვიდრებული ქურთები სამხრეთში (სადაც, როგორც ბოსტნეულობის სამყაროში, ერთად ხარობს ჭინჭარი და მჟაუნა, ასე ქურთებიც ისტორიულად სომხებთან იყვნენ ერთგვარ 'სუსხიან' ჩახუტებაში)[12]. არსებობდა მთელი ნაირსახეობები მუსლიმებისა და თურქებისა, რომელთა შორის ზოგი ახლად დასახლდა ამ ტერიტორიაზე მეთორმეტე საუკუნიდან. მათ შორის ჩვენი ისტორიკოსები, როგორც ძირითად პრობლემას, გამოარჩევენ თურქმენებს, (რომლებსაც მე, ჩემებურ ცნებებში რომ ავსახო იგივე ძირითადი პრობლემა, მოიאלადე თურქებს ვუწოდებდი). მათი ხანგრძლივი შეხლა-შემოხლა ქართველებთან უფრო ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ეთნიკურს. ძირითადად, თურქმენებს სავსებით აკმაყოფილებდათ თავიანთი ზაფხულის საძოვრები, მაგრამ სჭირდებოდათ ალპური ზონის ქართული მიწები გამოზამთრებისთვის. დავით IV-მ დაარღვია მათი გამოზაფხულება-გამოზამთრების რიტმი, მაგრამ ჩვენი ისტორიკოსები ცხადად ამბობენ, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში ქმნიდნენ საშიშროებას, განსაკუთრებით აკამპსისის და არაქსის მიმდებარე ველებზე. საპირისპიროდ, ქართველი მმართველები იყვნენ „ტყეთა (ანუ თურქმენებისთვის უცხო და მიუჩვეველი მიწების) მეფეები“. ტყის ძაბილი ზამთარში თამარის საბოლოო ავადმყოფობის დროსაც კი საკმაოდ ძლიერი ჩანს, როდესაც მისმა ამაღამ გადაწყვიტა „შესულიყო ტყეში, როგორც ეს მისი (თამარის) ჩვეულება იყო“ [13].

მაგრამ საერთო ჯამში, მუსლიმებს და შორეულ ხალიფას ჩვენი ისტორიკოსები პატივისცემით ეპყრობიან. დავით IV-ის ზეობის დროს მალიქშაჰი გაცილებით ნაკლებად გასაკიცხია, ვიდრე ქრისტიანი ლიპარიტი, რადგან ეს უკანასკნელი მოღალატე იყო. ეს იყო სიმბიოზის პერიოდი. გამოსაცალკევებელი მაგალითია სხვა მელიქი, მუღით ალ-დინ თულრილშაჰი, სელჯუკი სულთნის, კილიჯ არსლან II-ის შვილი, რომელიც 1194 წ. სომეხი ლეონ I სისუანელის ვასალად იქცა, 1203 წლიდან იყო მმართველი სომხური ბაიზურთისა და ქართული სპერისა (სადაც მან, შესაძლოა, არა მარტო მეჩეთები, არამედ ბერძნული ეკლესიებიც ააგო) და 1223 წ. ექცა რაღაცა ტიპის ვასალად დიდ კომნენოს ანდრონიკოს I ტრაპიზონელს, საბოლოოდ კი საქართველოს ძლიერი დედოფალი რუსუდანის (1223-45 წწ.) მარწუხებში აღმოჩნდა: დედოფალმა იგი აიძულა მოენათლა თავისი შვილი, რათა მას თავად ცოლად გაყოლოდა. ისლამის დამცველი ღაზისთვის ეს უკიდურესი შეურაცხყოფა იყო. ეს მელიქი, რომელიც თამაშობდა საერთო სელჯუკური, სომხური, ბიზანტიური და ქართული წესებით, ჩანს, ამ რთული ცხოვრებისგან მეტად დაბრძენებული გარდაიცვალა 1225 წელს [14].

მაგრამ ქართველები ჩიოდნენ, რომ სომეხები უნდა გამოეთიშათ საერთო თამაშიდან, რადგან ისინი თავის სასარგებლოდ 'ღუნავდნენ' წესებს. ეს ძველი ისტორიაა. მდინარის ბიზანტიური ნაპირიდან მე გავბედავ და ვიტყვი, რომ ქართველებისა და სომეხების მთავარი პრობლემა ისაა, რომ მათ ასე ბევრი რამ ჰქონდათ საერთო: ფეოდალური და კლანური სისტემები (დინასტიებიც კი); არსებითად მიწისმოქმედებითი, მწყემსურის საპირისპიროდ, ეკონომიკები; მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეკლესიები, რომლებიც სახელმწიფოს არყოფნის შემთხვევაშიც მის გარკვეულ თვისებებს იძენდნენ და თავად ერის იდენტობას განაპირობებდნენ; რომის და სპარსეთის, ბიზანტიისა და ისლამის გრძელი და საერთო გამოცდილება და თავიანთი გეოგრაფია. ეს უკანასკნელი დამაბულობის მიზეზი გახდა მას შემდეგ რაც გაფართოებულმა ქართულმა სახელმწიფომ მოიცვა სამხრეთის მიწებიც, სადაც ჯერაც მრავალი სომეხი

ცხოვრობდა და სადაც მათსავე ბაგრატიდებს არცთუ დიდი ხნით ადრე სამთავროები ჰქონდათ; განსაკუთრებით აუტანელი უნდა ყოფილიყო, რომ თურქები და ქართველები მეტოქეობდნენ მათი დიდი და გალავნით შემოზღუდული ქალაქი ანისისთვის. ქართველი მმართველები იყენებდნენ როგორც მუსლიმ, ისე სომეხ წინამძღვრებს, მაგრამ ქართველების მიერ სომხების ვერატანა, რაც ასე ცოცხლად არის გამოხატული ამ ისტორიებში, ჩანს, ასახავს ერთი ქრისტიანი ხალხის გავრცელებულ ხედვას მეორეზე, რომელი ხედვაც, უბრალო დამთხვევით, კონვენციურად ბიზანტიელების მიერაც იყო გაზიარებული. ამისგან თავის დაღწევა შეუძლებელია ისევე, როგორც იმ ფაქტისაგან, რომ სომხებს საკუთარი შესაბამისი პასუხები ჰქონდათ ქართველების (ნაკლებად ბიზანტიელების) მტრობაზე, როცა განმარტოებით ასრულებდნენ თავისი ავბედობის ლიტანიებს საკუთარ ქრონიკებსა და კოლოფონებში [15]. ჩვენი ავტორები აკურატულად ასახავენ საერო ისტორიას და, საყურადღებოა, რომ არ აცნობიერებენ ან არ აინტერესებთ, თუ რა არის რეალური და ძირითადი განსხვავება მხარეებს შორის: კერძოდ კი ის, რომ ბიზანტიელებმა და ქართველებმა მიიღეს ქალკედონი მაშინ, როცა სომხებმა, როგორც საზოგადოდ ცნობილია - არა.

საპირისპიროდ, ჩვენი ქართველი ისტორიკოსებისთვის შედეგი იყო უფრო გამაღიზიანებელი: განსხვავება ღვთისმსახურების გარეგნულ ფორმებში. როგორც ეს მანამდე ხდებოდა ბიზანტიელებსა და სომხებს შორის, საქართველოშიც იმართებოდა ფორმალური დებატები - უფრო საჩვენებელი პროცესები, ვიდრე ვიტების სინოდები. ერთ-ერთი ასეთი დებატი გამართა დავით IV-მ და მისმა კათალიკოსმა იოანე IV-მ, და იქ სომხები, როგორც ყოველთვის, მრავალმეტყველებდნენ (ეს ჩვეულებრივი საყვედური იყო მათ მიმართ), პირველიდან მეცხრე საათამდე, მანამდე, სანამ უბრალო და გულმართალმა დავითმა არ დაადომა ისინი, როცა მარტივი ენით ახსნა ერთი თეოლოგიური საკითხი (საინტერესოა, რა და როგორი იყო მისეული ინტერპრეტაცია?).

მაგრამ ყველაზე დამაინტრიგებელი პაექრობა დაიდგა თამარის და კათალიკოს იოანე V-ის (1208-10წწ.) მიერ: მასზე სომხების დელეგაციის თავი იყო აღთამარის კათალიკოსი, თუკი იმ დროს არ იყო შუალედური პერიოდი, როცა კათალიკოსის საყდარი დროებით ვანში იყო გადატანილი. ჩვეულებისამებრ, სომხები ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ. მაგრამ თავად ქართველი მორწმუნეებიც კი გაოგნდნენ თეოლოგიური ჩიხიდან გამოსვლისათვის თავიანთი კათალიკოსის წინადადებაზე, რომ გამოეცადათ სომხების და ქართველების ნაკურთხი პურების სიწმინდე ძაღლის მეშვეობით. ეს რაღაც *topos*-ის ატმოსფეროს ატარებს, შესაძლოა ხსოვნას იმ დროისა, როდესაც ბიზანტიელებმა ამასიაში გადაიყვანეს გაგიკი, ყარსის უკანასკნელი სომეხი მმართველი, ხოლო არწრუნები, ვანის სომეხი მთავრები - სებასტიაში, სადაც ისინი „თურქებზე უარესად იქცეოდნენ“ [16]. სხვა უღირსობებს შორის, ბიზანტიელები ამტკიცებდნენ, რომ გაგიკმა კესარიის მიტროპოლიტი ტომარაში ჩასვა თავის ძაღლთან ერთად. ისე კი ეს თავად ბიზანტიელი მიტროპოლიტის პროვოცირების შედეგი შეიძლება ყოფილიყო, მან ხომ თავის ძაღლს სახელად „არმენი“ დაარქვა. რომანოზ IV დიოგენემ ორივე სომეხი მეფუნა ჩამოაგდო ტახტიდან, როდესაც მანგიკერტში მიდიოდა 1071წ. მაგრამ, შესაძლოა, ბიზანტიის იმპერატორმაც ზღო ამ ქმედებისთვის, რადგან მისი მარცხი და დატყვევება მანგიკერტში თურქ-სელჯუკების მიერ მოხდა ისტორიულ სომხურ ტერიტორიაზე ვანსა და ყარსს შორის, და თავდაპირველად თურქები კი არ სარგებლობდნენ მისი ჩრდილოეთის ზოლით, არამედ ჩვენი ქართველი მეფეები, მოყოლებული დავით IV-დან, რომელმაც ფეხი შედგა ყარსში და ანისში.

განსაკუთრებით საინტერესო ამ ბოლო ისტორიაში ქართველების, სომხების და ძაღლის შესახებ არის ის ფაქტი, რომ სომეხ კათალიკოსს უწევდა რისკზე წასვლა და სხვა აკლესიის საერო ხელისუფლების წინაშე დაუცველად წარდგომა. სომხებმა ადრიდან ისწავლეს ჩაგრულის მდგომარეობაში მყოფის ილეთები, რომელთა შორის ერთ-ერთია თავაუღებლად, განრთხმული წოლა. ვიცით, რომ

თამარი იყო მეორე კონსტანტინე და კონსტანტინე არ იყო საეკლესიო კრების მომწყობის ბედნიერი შემთხვევა ყველა იმათთვის, ვინც მასთან არ იყო თანახმა. ვინ იცის, იქნებ ეს ბურუსით მოცული სომეხი კათალიკოსი ამ კრებაზე უკვე ქართველი საერო ხელისუფლების მძევალი იყო. რაც არ უნდა იყოს, გაკვირვებას არ იწვევს, რომ როგორც თამარის ისტორიკოსი ნიშნისმოგებიანი სიხარულით ამბობს, სომეხები დარჩნენ როგორც ბაყაყები ტბორის გარეშე.

უფრო ფართო ქრისტიანული ტბორი იყო ბიზანტიის იმპერია, სადაც კომენოსების კარი, სარწმუნოების ეს ერთგვარი შორეული კრიტერიუმი, თავის ორთოდოქსიას ამტკიცებდა ერეტიკოსების, მათ შორის სომეხების, დევნით და სადაც აშენებული იყო ქართული მონასტრები და იზრდოდნენ ქართველი დაქირავებული ჯარისკაცები. ამ ქართული ისტორიების ქეთრინ ვივიანისეული თარგმანი მიჰყვება ძველითგან ჩამოყალიბებულ ტრადიციას და ბიზანტიას უწოდებს „საბერძნეთს“, მაგრამ ამგვარი ახალი კონცეპტი და გეოგრაფიული ტერმინი შესაძლოა დამაბნეველი იყოს: ქართველებისთვის, სომეხებისთვის, თურქებისთვის (რომლებიც ასევე „ბიზანტიელები“ იყვნენ ევროპელებისთვის თავიანთი ინტრიგებით და მზაკვრობით მიხლართულ-მოხლართული მმართველობის სტილის გამო) ბიზანტია წარმოადგენდა „რომაულ“ მართლმადიდებლურ იმპერიას. მის ფართო ასპარეზზე ქართველებიც სომეხების კვალდაკვალ იკეთებდნენ კარიერას, მაგრამ უფრო კულტურულს ვიდრე პოლიტიკურს. მას შემდეგ რაც XI საუკუნის ბიზანტიური იბერიის თემა-პროვინციის ფანტომი გაუჩინარდა, „რომალები“ აღარ წარმოადგენდნენ საფრთხეს ქართველებისთვის. მაგრამ ეს დისტანცირება ახშობდა მათთვის იქიდან მომავალ ინფორმაციას, რაც ჩანს ამ ისტორიებშიც. მაგალითად, ისინი საუბრობენ ერთ-ერთი შედარებით დაბალი რანგის კომენოსზე (ალექსიოს ბრიენიოსზე) ქართველი დედოფლის გათხოვებაზე, რა ფაქტიც საერთოდ იგნორირებულია ბიზანტიის მხრიდან, თუმცა ამავე დროს მათში ნახსენებია მანუელ კომენოსის უცნობი შვილი, სახელით პოლიკარპე (ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს ზუსტი სახელი იყოს). მაგრამ

ვითარება რადიკალურად შეიცვალა, როდესაც ძნელადპროგნოზირებადი ქვეყნების მქონე ანდრონიკე კომნენოსი თავის ბიძაშვილთან და ცოლთან, თეოდორა იერუსალიმელთან ერთად მივიდა გიორგი III-ის კარზე. უნდა ითქვას, რომ ანდრონიკეს სალთუკიდმა მისცა საფეოდალო მამული კომნენოსების მამაპაპურ სასახლესთან ახლოს პონტოში, მაგრამ ჩანს, რომ შედგა რაღაც სახის საქორწინო ალიანსი (საიდანაც, როგორც ამტკიცებენ, ქართული გვარი ანდრონიკაშვილი წარმოდგება), რადგან თამარი დაეხმარა ანდრონიკეს შვილიშვილებს და თავის ნათესავს, (რომელსაც, ნიშანდობლივია, რომ ერქვა დავითი), და ალექსიოსს, პირველ დიდ კომნენოსს, დაეარსებინათ ეგრეთწოდებული ტრაპიზონის იმპერია 1204 წელს. ამ საკითხში მაინც, ბიზანტიური და ქართული წყაროები საბოლოოდ ერთმანეთს ეთანხმებიან. მაგრამ ბასილის მიერ თამარზე გადმოცემული ეს ისტორია შემდგომში დიდი რაოდენობის მელანში დაილექა და სამწუხაროა, რომ ქართველი და რუსი ისტორიკოსები კატეგორიულები არიან, რომ ეს ახალი სახელმწიფო იყო თამარის ნაბოძები საჩუქარი და, სავსებით გასაგებია, რომ ბერძენი მეცნიერები საპირისპიროს ამტკიცებენ.¹ მდინარე

¹ მე მგონია, რომ, მართალია, თამარის როლი, როგორც მისი ნათესავების, დიდი კომნენების მიერ პონტოს ხელში ჩაგდების მოზილიზატორისა ექვს არ იწვევს, ეს ვერ მოხდებოდა ასე ადვილად ავტონომიის ადგილობრივი განცდისა და აქ მცხოვრები ხალხის ჩამოყალიბებული იდენტობის გარეშე, რომელიც მანამდეც დიდი ხნის მანძილზე იყო კულტივირებული გაბრასებისა და კომნენების მიერ; და თუმცა, დიდ კომნენებს, ბუნებრივია, ქართველი ცოლები მოჰყავდათ და ისეთივე სიხშირით, რა სიხშირითაც თავად ათხოვებდნენ თავის დედოფლებს ბიზანტიელ და თურქმენ მმართველებზე (ქორწინების ეს განსხვავებული ფორმა საყურადღებოა), მათი სახელმწიფოსა და ადმინისტრაციის ხასიათი არსებითად უფრო ბიზანტიურ-პონტიური იყო, ვიდრე ქართული. მე არ უგულებელსვყოფ იმ როლს, რომელსაც თამაშობდნენ მათი ქართველი ლაზი ქვეშევრდომები აკამპსისის დასავლეთით, მარამ ისინიც დიდი ხნის მანძილზე ბიზანტიურ ორბიტაში შედიოდნენ. ერთი-ერთი ბარიერი, რომელიც უშლიდა ხელს, თამარს მეტი გავლენა ჰქონოდა, იყო ის, რომ საქართველოს ბირითადად არ ჰქონდა მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი საზღვაო კონტაქტი დასავლეთთან (აქედან გამომდინარეობდა, ალბათ, მონასტრების უზრუნველყოფის

აკამპსისი, რომელიც თამარის ჯარმა გადმოლახა, ისეთივე ფართო რჩება, როგორიც ყოველთვის იყო. მაშასადამე, ძალიან სასარგებლოა, რომ კვლავ ვხვდებით ამ ცნობილ პასაჟს აქ მოცემული ისტორიების მთელი კონტექსტის ნაკადში მისი არათანმიმდევრულობა გაოცებას იწვევს. ეს დაუთარიღებელი მოვლენა მიბმულია ბიზანტიაში არსებულ ქართულ მონასტრებისთვის ფონდების გაგზავნისას თამარის წინაშე წამოჭრილ სირთულეების შესახებ თხრობაზე [17] (რაც სხვა წყაროებითაც გარკვეულწილად დასტურდება) მას შემდეგ, რაც ანდრონიკე კომნენოსი ჩაანაცვლეს კონსტანტინეპოლში ანგელებმა მისი ლინჩის წესით გასამართლების მერე, იმ დროს როცა ოფიციალურად ის კვლავ იმპერატორი იყო, 1185 წ. გადაულახავი სირთულე არის ის, რომ ჩვენ არ ვიცით, რას აკეთებდნენ ალექსიოს და დავით კომნენოსები თავიანთი ბაბუის (და არა მამის, როგორც ამას ქართველი ისტორიკოსი, დამაბნეველად ამტკიცებს) ანდრონიკეს სიკვდილის 1185წ. და მათ მიერ, თამარის უდაო პატრონაჟით, 1204 წ. ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას შორის. ვარაუდი, რომ მათ ზრდიდნენ და ამზადებდნენ თამარის კარზე, მხოლოდ ვარაუდად რჩება და ნეტავ რატომ უნდა დახარჯულიყო ამდენი მელანი ამ თითქოსდა ბევრი არაფრისმთქმელი პასაჟის ინტერპრეტაციისთვის? მაგრამ როგორც ხელმეორედ გადაკითხვა ავლენს, და ასე ბევრჯერ ხდება ამ ისტორიების კითხვისას, ეს პასაჟი სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს, თუმცა, ხშირად ესა თუ ის ცნობა ბუნდოვანებას შეიცავს. როდესაც ჩამოთვლის ალექსიოსის, დავითის და ქართველების მიერ აღებულ ადგილებს 1204 წელს, ისტორიკოსი ბასილი ცდილობს საკმაო სიზუსტით გადმოსცეს აკამპსისის დასავლეთით პონტოს გეოგრაფია; უფრო სწორედ, ის აღწერს, როგორც ჩანს, ორ ერთმანეთში გადამავალ სანაპირო ზოლს და სანაპირო ადგილების ჯაჭვებს მათ შესაბამის გეოგრაფიულ სახელებს არქმევს. პირველი ჯაჭვი, აღმოსავლეთიდან

პრობლემებიც ანგელების დროს და ეს ხსნის იმასაც, რომ პონტოს დაპყრობა სახმელეთო გზით უნდა მომხდარიყო. მაგრამ, პრაქტიკულად, უნაყოფოა რამე პირდაპირი ქართული გავლენის ძიება პონტოზე 1222 წლის მერე, რადგან მონღოლები შემოიჭრნენ.

დასავლეთისკენ, არის ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი. ნიშანდობლივია, რომ „სამისონი“ არის ადრეული დადასტურება დასახელების თურქული ვერსიისა ამ ადგილისათვის, რომელსაც იმ დროს ბიზანტიელები „ამი(ნ)სოს“-ს უწოდებდნენ. მაგრამ ყველაზე საყურადღებოა ტოპონიმი „ლიმონი“, რომელიც ჯაჭვის ამ ადგილზე უეჭველად აღნიშნავს ბერძნულ ლიმნიას, მდინარე ირისის (იეშილის) ცვალებად დელტაში დიდი ხნით ადრე დაკარგულ სიმაგრეს. სხვა ნაშრომში მე ვამტკიცებდი, რომ ეს უნდა იყოს 1140-იან წლებში ბიზანტიურ-დანიშმენდიდურ კამპანიაში ნახსენები კინტე, უკანასკნელად ამგვარად წოდებული იდრისის მიერ დაახლ. 1154 წელს; და რომ ეს ადგილი კვლავ გამოჩნდება უკვე როგორც ლიმნია, პირველად მოხსენიებული ბერძნულ წყაროებში 1297 წელს [18]. ქართული ჩამონათვალი გვაწვდის უფრო ადრინდელ (თუმცა, შესაძლოა, რეტროსპექტიულ) მითითებას ადგილისას მისი ახალი ბერძნული სახელით, რომელიც დესკრიპტიულია, რადგან დელტა დაკოპლილია ლაგუნებით. ეს ადასტურებს, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ეს ადგილი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო და რომ ბასილის ისტორია სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. მაგრამ ამის შემდეგ ბასილი, შესაძლოა გაუცნობიერებლად, კვლავ უკან ბრუნდება და იწყებს სხვა, ძველის გადამფარ ნუსხას: კერასუნდი (გიერსუნი), კიტიორა (კიტოროსი, კიდე), ამისტრია (ამასრა), არაკლია (ჰერაკლია, ახლა ერედლი). ნებისმიერ რუქაზე თვალის შევლებითაც მიხვდები, რომ კითერას კუნძული, რომელიც კიტიორას შესატყვისად არის მიჩნეული, სრულიად გამოსარიცხია. თუმცა ხელახალი თვალის შევლება ააშკარავებს იმას, თუ რეალობაში როგორ დაიპყრეს ალექსიოსმა და დავითმა პონტოს სანაპირო და როგორ დაასრულეს ეს კამპანია შესაბამისად სინოპში და ჰერაკლიაში [19]. ქართველი ისტორიკოსის მიერ ნახსენებ მიმდევრობებს ავთენტურობის ელფერი ადევთ და კვლავ გვახსენებენ, რომ ქართველი ისტორიკოსების კლასიკური განათლება აკამპსისის იქითა მხარეს არასდროს არ უნდა იქნას დამცირებული და კვლავ გვინახავს ენიგმებს.

იგივე შეიძლება ითქვას მთლიანად ამ ისტორიებზე. მათ ლიტერატურულ და ისტორიოგრაფიულ კონვენციებში და ქართლის იქითა სამყაროს მათეული, პანორამული და მრუდე ხედვით, იმ რეალიების პრიორიტეტები, რომლებიც მათ ჩაწერის ღირსად მიაჩნიათ, ავთენტურია: ევლოგების წინასწარმეტყველებები ზუსტად ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ჭორები იმაზე, თუ რა ხდებოდა კონსტანტინეპოლში. ქეთრინ ვივიანმა შეძლო გადმოეცა მათი ავთენტური სიმძაფრე, რომელიც ასევე გამოხატულია დღემდე შემორჩენილ დიდებულ გელათის მონასტერში და ვარძიის ფრესკებით მოხატულ გამოქვაბულებში. ეს ლეგენდარული პერიოდი, 1089-1222 წლები, წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს ნამდვილი აყვავების ხანას. გიორგი ლაშას ცხოვრებაში არის ერთი ტიპიური ენიგმატური მინიშნება იმაზე, თუ რის გამო უნდა შემწყდარიყო იგი: „და ვინმე უცხო ჯარი შემოიჭრა...” მონღოლები მოვიდნენ.